ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №672288

ნომერი: AR1128303

თარიღი : 29.04.2013

გაცემის თარიღი : 06.06.2013

გაცნობის თარიღი : 06.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უზნაძე , N 70 , (ნაკვ.10/21) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

2013 წლის29აპრილს ქალაქ თბილისისმერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR1128303 ელექტრონული განცხადებითმომართა მოქალაქე ქეთევან ფანცულაიამ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, უზნაძის ქ. #70–ში არსებულ მიწის ნაკვეთზესაკადასტრო კოდით #01.13.08.010.021 ,,საცხოვრებელი უბანი“–ს დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადება.

რადგან ტერიტორია მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში, საკითხი იქნა განხილული საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის

წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომაზე (დანართი: ოქმი #17 (30.04.13.)), რომლის დასკვნის შესაბამისად საკითხი გადაწყდა უარყოფითად. საბჭოს წევრთა რეკომენდაციების შესაბამისად: უბნის ურბანული და არქიტექტურული მახასიათებლების შესაბამისად უნდა შეიცვალოს კონცეფცია. ტერიტორიის დაგეგმარება უნდა ეფუძნებოდეს ისტორიული განაშენიანების დეტალურ ანალიზს, აღნიშნული ადგილის საცხოვრებელი ფუნქციის ობიექტებით გადატვირთვა წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად მიუღებელია.

საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თახმად ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქალაქე ქეთევან ფანცულაიას ქ. თბილისში, უზნაძის ქ. #70–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.13.08.010.021 ,,საცხოვრებელი უბანი“–ს დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მომზადების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.